**ფასი 30 თეთრი** *... ინტერვიუ კასანდრასთან ...*


# ფანტაზია

№ 10 (36)

1-7 აპრილი | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი. | 1997 წელი


# დღეს პირველი აპრილია!



„კასანდრა“ სომხეთის ტელევიზიაც აჩვენებს.

## "კასანდრას" პერსონაჟები იღიმებიან


იხილეთ მე-5 გვ.


## "მიმინო-ვორდი"


იხილეთ მე-4 გვ.




## საკროსვორდო ჩემპიონატი ძალას იკრებს


იხილეთ მე-3 გვ.


ვინც ამქვეყნად ღიმილს აფრქვევს
და სულ ღიმილს აპირებს,
ვინც ხუმრობით მიმოიგლის
წუთისოფლის ნაპირებს,
ვინც დასცინის მაფიის და
პოლიტიკის ვამპირებს.
ღვთის წყალობით, ამ სიცოცხლეს
გა-ი-პირველ-აპრილ-ებ-ს!

## ვ ი ქ ტ ო რ ი ნ ა - „ მ ა ლ უ ლ ა “



5 ლარი იმას, ვინც 5 აპრილამდე პირველი ამოიცნობს ჩარჩოსმიღმა ,,დამალულ“ პიროვნებას.



წინა ნომრის „მალულა-კროსვორდის“ მიღმა „იმალებოდა“ სალომე ყანჩელი. სწორი პასუხი პირველმა გამოიცნო გიორგი მღებრიშვილმა

**თარაზულად:** 4. დიდი ქართველი კომედიური (და არა მარტო კომედიური) ჟანრის მსახიობი; 10. საიათნოვას „პროფესია“ მეფე ერეკლეს კარზე; 11. გურამ სალარაძის ერთი (მაგიური) ტელეპერსონაჟი; 12. თამაში — დიდი „კვერცხით“; 13. კაცი, ვისაც ეგორი აუხირდა; 14. კანდიდატიც... დოქტორიც... 16. რომის ერთ-ერთი იმპერატორი; 17. პერის სატრფო (... ოღონდ — უარყოფილი); 18. ერთ-ერთი ქურდი... ღვინისა; 21. (ბატონი) შავგულიძე; 22. რა უნდა „გამხიარულდეს“ სტუმრის გასამასპინძლებლად; 24. სალვადორ დალის მოფერებითი მიმართვა ცოლისადმი; 25. ნათესავი, რომელსაც „ძველოს“ დასძახიან; 26. დას. საქართველოელთა შეცხადების სიტყვა; 28. იუგოსლავიის ნაწილი; 29. რა არ აქვს ადამიანს? 33. ქალაქი რუმინეთში; 36. სიტყვიერად შესათავაზებელი წაბლის „პოზიცია“; 37. კომუნისტური მონუმენტალიზმის პერსონაჟი; 38. კალიფორნიის შტატის ადმ. ცენტრი („მშობლიური“) აშშ-ში.

**შვეულად:** 1. შესანიშნავი ქართველი კომედიური მსახიობი; 2. იგივეა, რაც ბიწიერი; 3. ჩვენი „წინაპრის“ ერთ-ერთი შთამომავალი; 5. (ბატონი) ციმაკურიძე — ქართველი პაროდისტი; 6. დუმბაძისეული პერსონაჟი; 7. უსაქმური კაცის მოსახსენიებელი სიტყვა დას. საქართველოში; 8. ბატონი აკაკი ვასაძის ერთი წარმატებული როლი; 9. ვინ ჩამოვიდნენ მთიდან? 14. ბათუმელი პოეტი, ბატონ ფრიდონი; 15. ბატონი ნოდარი, ქართველი კინორეჟისორი; 17. ირინა ალეგროვას „საყვარელი“ მუსიკალური ცნება; 18. ინდური კინოფილმი, რაჯ კაპურის ვაჟის მონაწილეობით; 19. პათეტიური მეტყველების აუცილებელი „ტონალობა“; 20. სასწავლო ნივთი, რომელსაც მავანთა დიდ თავს ადრიან; 23. ბურთის ხაზსიქით ყოფნა; 25. ცნობილი რესტორანი ფუნიკულიორის გზაზე (ახლა ფუნქციონირებს თუ არა, ვერ გეტყვით); 27. პაკისტანის სახელმწიფო ენა (აუჰ! — სადამდე წავედით?!); 29. ტომარასთან „დაკავშირებული“ ხილი; 30. დღეს გადმონაშთად ქცეული სავაჭრო — დამმალავი „ინვენტარი“; 31. შავიც და თეთრიც... ჯადოსნობის მოყვარულთათვის; 32. მადა — ძველთბილისურად; 33. თბილისის ერთი ყოფილი კოლორიტი; 34. გამარჯვების ქალღმერთი; 35. ორგანიზაცია, რომელსაც მხოლოდ შუშაბანდები უნდა ჰქონდეს.

## საპირველაპრილო მოწოდებები (პოსტ) საბჭოთა ხალხს!

### 1. პოლიტიკა

თქვენი ინტერესებისათვის ბრძოლა გამოცდილ მებრძოლებს მიანდეთ! გახსოვდეთ თქვენ შრომობთ იმისათვის, რომ მათ იბრძოლონ!

### 2. ეკონომიკა

კომერციის (ძვ. ფორმით — ვაჭრობის) ეფექტიანობა განისაზღვრება არა კაპიტალბრუნვით, არამედ ბაზრობასთან სიშორით.

### 3. მედიცინა

დროზე დაივიწყეთ უფასო სამედიცინო მომსახურება, როგორც მავნე სოციალისტური გადმონაშთი.

### 4. კულტურა

კულტურის შექმნა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც უკულტუროა, რადგან კულტურულისათვის შესაქმნელი უკვე შექმნილია.

### 5. პრესა

დროა ჩვევად გაიხადოთ ის, რომ გაზეთის კითხვა დაიწყოთ პირველი გვერდიდან.

### 6. რეკლამა

რეკლამისადმი რწმენა აქვთ მათ, ვისი რწმენაც რეკლამირებულია.

(გაგრძელება იქნება)



## ა ნ ო ნ ს ი

შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ ინტერვიუს თანამედროვე პოპულარულ მსახიობთან, ანტონიო ბანდერასთან

მომავალი ნომრიდან რეგულარულად მოგაწვდით ინფორმაციას ვიდეოჰიტპარადებისა და ვიდეოსიახლეების შესახებ

# იუმორის დღე

*... დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია!*

## ისტორიული ექსკურსი

„1 აპრილის" ტრადიცია, როგორც ჩანს, სათავეს იღებს შუა საუკუნეების საფრანგეთში, სადაც მეფე ლუდოვიკ XIV ამ დღეს მთელი ქვეყნის წარჩინებულთა წრეს იწვევდა თავის სამეფო კარზე საგაზაფხულო დღესასწაულზე. ამავე წვეულებაზე საფრანგეთის მეფეს, ვნებათა გასამძაფრებლად, თავისი ქვეყნის ყველაზე ცნობილი გაიძვერებიც მოჰყავდა. მათ, „ბიუჯეტის ხარჯზე" ბანდნენ, ძვირფასი სამოსით მოსავდნენ, შესაბამის ვარცხნილობას უკეთებდნენ და ჩინოსან სტუმართა შორის რევდნენ, რათა ამ ქურდებს მდიდარი ბატონების ჯიბეში ხელის ფათურით ლუკმა პური ეშოვათ. მაგრამ არსებობდა ერთი პირობა: თუ ქურდბაცაცას „საქმეში" ამხელდნენ, მას ურტყამდნენ, ამ ცემა-ტყეპით ერთობოდნენ და სასახლიდან აძევებდნენ, ხოლო თუ ქურდობას ვერავინ დააფიქსირებდა, ნადავლში ხელმარჯვე „საქმოსანს" არავინ ედავებოდა. ეს საკმაოდ ხალისიანი გართობა იყო დიდგვაროვანთათვის, თუმცა სხვა დღეებში ამგვარ „გართობას" საკმაოდ მკაცრად სჯიდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, უბრალო ჭინჭის ქურდობასაც კი არავის პპატიობდნენ და საქმე ხელის მოკვეთითაც კი მთავრდებოდა.

დროთა განმავლობაში ეს „ტრადიცია" სასახლეების კედლებს გასცდა და ყველა ქვეყანაში ხუმრობასა და გაბაიბურების დღედ იქცა. აი, რამოდემინე მაგალითი შოუ-სამყაროს წარმომადგენელთა ცხოვრებიდან:



### ჩაკ ნორისი და ძაღლი

ერთხელ ჩაკ ნორისი პარიზში ჩავიდა კონტრაქტის დასადებად. ეს მოხდა 30 მარტს ღამით. მგზავრობით დაღლილმა მსახიობმა ქუჩაში გაისეირნა, მერე სადღაც ბარში თაყვანისმცემელთგან თითო-თითო ჭიქის პატივი მიიღო და სასტუმროში რომ დაბრუნდა, აღარც კონტრაქტი ახსოვდა და აღარც თვე და რიცხვი. მოხდა ისე, რომ გამოფხიზლება 1 აპრილის დილით „განხორციელდა" და, ბუნებრივია, მსახიობმა ნაბახუსევზე შესაბამისი საუზმე მოითხოვა. ერთხანს შეკვეთა არავინ მიიღო, შემდეგ მიიღეს, მაგრამ კარგა ხანს არავინ ჩანდა საუზმის მომტანი... ბოლოს, როგორც იქნა, კარზე კაკუნი გაისმა. „შემოდით, ღიაა!" — დაიაყვირა ჩაკმა, მაგრამ არავინ შემოვიდა... შემდეგ ისევ კაკუნი და ისევ არავინ შემოვიდა: ასე განმეორდა ექვსჯერ და, როცა მსახიობს მოთმინება გადმოელვარა ფიალიდან, თავად გაალო კარი და იქ დახვდა უზარმაზარი ძაღლი. აღშფოთებულ ჩაკს მხოლოდ მაშინ გაახსენდა ამ დღის „სახუმარო ტრადიცია", როცა ძაღლს უჩქმიტა და დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს ცხადში ხდება...






### როდ სტიუარტი – ყველას მამა

ამერიკელ შოუმენს, როდ სტიუარტს, სამი* წლის წინ, 1 აპრილს ერთბაშად ოთხი დეპეშა მოუვიდა... ობოლთა თავშესაფრებიდან. ოთხივეში ნათქვამი იყო, რომ მისი (სტიუარტის) საყვარელი შვილი, როგორც იქნა, მოიძებნა და მას შეუძლია სახლში წაიყვანოს თავისი ბიჭუნა (ან გოგონა). მართალია, ეს შოუმენი ამ დროისათვის ცოლთან გაცილებული იყო, მაგრამ ოთხი უკანონო შვილის „პოვნა" მისთვის მაინც გამაოგნებელი აღმოჩნდა. შოკში ჩავარდნილი სტიუარტი თავის მეგობართან წავიდა და, მადლობა ღმერთს, რომ... დეპეშების ავტორი სწორედ ის მეგობარი აღმოჩნდა.

აი, ასე უნდა ელოდე ყველაზე საიმედო მეგობრისაგან ყველაზე კბილიან ხუმრობას!



### სოფი ლორენის შეცდომა

გარკვეული ხნის წინ იტალიელმა პრიმადონამ ადრიატიკის სანაპიროზე ახალი აგარაკის მშენებლობა წამოიწყო და ყოველ წვრილმანს იმდენ ყურადღებას უთმობდა, რომ ამით ყველას მოაბეზრა თავი.

და აი, მისმა მეგობრებმა ამგვარი აბეზარობის შესაფერისი ინტრიგა შეთხზეს და საამისოდ, ბუნებრივია, შეარჩიეს ისეთი დღე, როცა ყოველი ზღვარგადასული ხუმრობა დასაშვები და მისაღებიც კია. 1 აპრილს დილით მათ ერთ უცნობ კაცს დაარეკინეს სოფი ლორენთან რომში და ათქმევინეს, რომ იგი მსახიობის ახალი მეზობელია ადრიატიკის სანაპიროდან და რომ იქ საშინელება მოხდა: მღებავებმა ახლადგარემონტებულ ერთ-ერთ ოთახში სავსე ქილა საღებავი დაღვარეს და, მარტო იატაკი კი არა, კედლებიც დასვარეს.

სოფი ლორენი გაშმაგებული გაიჭრა სახლიდან და სასამართლოში სარჩელი აღძრა იმ ფირმის მიმართ, რომელსაც აგარაკის მშენებლობა ევალებოდა...აგარაკისაკენ გზადმიმავალ ქალს ვიღაცამ უკბილო საპირველაპრილო ხუმრობა დაახვედრა და ეს თარიღიც მაშინ გაცნობიერდა პრიმადონას გონებაში, მაგრამ გვიან იყო... სასამართლო ხარჯები მას მაინც უნდა გაესტუმრებინა! მართალია, სოფი ლორენმა თავადაც გაიცინა აგარაკის დათხვრასთან დაკავშირებულ ინტრიგაზე, მაგრამ ამის მომწყობი პირები ერთხანს მაინც ერიდებოდნენ მსახიობთან პირისპირ შეხვედრას.

### ბრიჯიტ ბარდოს საპასუხო ოინი

ახლახანს ბრიჯიტ ბარდოს მემუარები გამოვიდა (ჩვენ „ფანტაზია" №3-ში შემოგთავაზეთ კიდეც პატარა ნაწყვეტი ამ წიგნიდან). დღესდღეობით ფრანგთა სექს-სიმბოლო სკანდალური სასამართლო პროცესს ელის თავისი შვილისა და ერთი ყოფილი ქმრის მიერ აღძრული სარჩელის გამო (მემუარებში ბრიჯიტმა შეურაცხმყოფელი ტონით მოიხსენია ისინი). მემუარების გამოცემას კი ერთი „კურიოზი" უძღოდა წინ: პირველ აპრილს, დილის თერთმეტ საათზე ბრიჯიტმა გამომცემლისაგან წიგნისა და ფოტოების სასიგნალო ეგზემპლარები მიიღო. მსახიობმა მოუთმენლად გახსნა კონვერტი და ხელში შერჩა წიგნის გარეკანი სურათით, რომელზედაც გამოსახული იყო მელოტი, ულვაშიანი ქალი... და ეს ქალი თავად ბრიჯიტ ბარდო იყო. აღშფოთებულმა „ადრესატმა" მაშინვე დაურეკა გამომცემელს და, გაიგო რა მისი ხითხითი, ყველაფერს მიხვდა და იმავწამს შური იძია: მან წიგნის მწარმოებელს აცნობა, რომ გადაწყვეტილება შეცვალა, აღარ სურს მის ფირმასთან თანამშრომლობა და მემუარების პუბლიკაციის ნებართვას ამ გამომცემლის კონკურენტ ჟურნალს გადასცემს. „გაისმა" დუმილი... რასაც მწარმოებლის ღრიალი მოჰყვა!

ასე შეაბრუნა ხუმრობის „გესლი" საზრიანმა სექს-სიმბოლომ.



### ჟან გაბენიც მოატყუეს

1 აპრილი ფრანგული კინოს მაესტროსათვის, შეუდარებელი ჟან გაბენისათვისაც კი ცდუნების შესანიშნავი საშუალება ყოფილა. იცოდნენ რა მსახიობის გულუბრყვილო ბუნება, მისი კოლეგები ხშირად „ესხმოდნენ" მას თავს ნაირგვარი ოინებით.

ერთხელ წვეულება გაუმართავთ და ჟან გაბენისათვის უთქვამთ, რომ მას თაყვანისმცემელთაგან საჩუქრად მოუვიდა უძვირფასესი კონიაკი, თავისივე უნიკალური ბოთლით და ამ სუვენირის* ღირებულება ათობით ათასი დოლარით განისაზღვრება. ანტკივარიატის მოყვარულ მსახიობს სული გაუნაბავს და მაგიდის ბოლოში სწორედ ის კონიაკი შეუმჩნევია, მისთვის რომ იყო განკუთვნილი.

მეგობრებმა დააფიქსირეს რა ჟან გაბენის ნაცდუნები მზერა, ბოთლის ხელიხელ გადაცემა დაიწყეს და უცებ ერთმა მათგანმა „შემთხვევით" კარგად ვერ მოკიდა ბოთლს ხელი და ეს უნიკალური ნივთი ნამსხვრევების სახით იატაკზე გაიფანტა. დაიღვარა, რა თქმა უნდა, კონიაკიც...

თვითმხილველები ამბობენ, რომ დიდ მაესტროს ენა ჩაუვარდა და ვერც მაშინ ამოიღო ხმა, როცა მის ყნოსვასაც მისწვდა არა ძვირფასი კონიაკის სურნელი, არამედ იაფფასიანი პორტვეინის ოხშივარი, რამაც კიდევ უფრო დააბნია იგი, რადგან ვერაფრით წარმოედგინა, რომ ასეთ ბოთლში რაიმე არასაკადრისი ესხა...

კვანძის გახსნა ორიოდე წუთში მოხდა, როცა ჟან გაბენს მართლა მიართვეს ის უძვირფასესი კონიაკი თავისი ძვირადღირებული ბოთლით.



## პროფესიული ანეკდოტები

**კინო**

კინომსახიობი ექიმთან მივიდა გასასინჯად.

— ექიმო, უნდა გავიხადო?

— არა, გმადლობთ, საჭირო არ არის; მე უკვე ვნახე ბოლო ფილმი თქვენი მონაწილეობით.

**ბიზნესი**

— როგორ მოახერხეთ, ასეთი მცირე ხელფასის მქონემ, ამგვარი დიდებული სახლის აშენება.

— მე საამისოდ პატიოსნად „ვიჯექი" სამწლიანში.

**სკოლა**

მამა-შვილი სკოლაში მიდიან.

— მამი, ეს ჩანთა ძაან მძიმეა და, მომეცი რა მაგ არყის ბოთლებს ვატარებ!

— შენ რა, გაგიჟდი, შვილო?! — რომ გაგიტყდეს?!

**ოჯახი**

შეიხი სახლში რეკავს:

— ალო, მე შეიხი ვარ? შენ რომელი ცოლი ხარ?

**ყოფა**

— მეფე სოლომონს 900 ცოლი ჰყავდა, საინტერესოა, რას აჭმევდა მათ?

— ის უფრო საინტერესოა — თავად რას ჭამდა?

# საქართველოს პირველი საგაზაფხულო ჩემპიონატი სუპერკროსვორდის შევსებაში 10 ტურად

## გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზზე

### მესამე ტური — 1-8 აპრილი

### 99 სიტყვა




**თარაზულად:** 6. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი; 12. კარლო გოლდონის პიესის — „სასტუმროს დიასახლისი“ — პერსონაჟი; 13. ახლო წარსულის გერმანელი ფეხბურთელი; 14. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია; 15. ესპანელი მწერალი, ავტორი რომანისა „ნამდვილი მამაკაცი“; 17. რუსული კინოს უდიდესი კომიკოსი, იგორი; 18. ქართველი კარიკატურისტი; 19. ფრანგი კინორეჟისორი; 21. ანტიკური პოეზიის სახესხვაობა; 22. ორენოვანი წარწერა; 23. გადასახადის სახეობა არაბთა ბატონობისას; 26. ფრანგული წარმოშობის რუსი ბალეტმეისტერი; 28. არქიტექტურული სტილი; 29. ქალაქი აიტის პრეფექტურაში, იაპონია; 32. ზმნის უპირო ფორმა; 33. იგივეა, რაც ქველმოქმედება; 36. ახლო წარსულის იტალიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი; 37. თბილი სამოსის სახესხვაობა; 38. ქართველი საოპერო მომღერალი და კინომსახიობი; 39. მღვდლის შესაცნობი „გარემო“; 40. დინამიკა მუსიკაში; 41. მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონი ჭადრაკში; 42. ახლო წარსულის ბრაზილიელი ფეხბურთელი; 44. ქალაქი ესპანეთში; 46. ასურეთის უძველესი ქალაქი; 47. სანტექნიკური ინვენტარი; 49. დისნეის მულტფილმის გმირი; 52. ძველფინიკიური მითოლოგიის ნაყოფიერების ღმერთი; 54. ცნობილი იაპონური ფირმა; 56. რუსი ბოტანიკოსი; 57. ნარკოტიკული ნივთიერება; 58. პირქუში, უკმეხი და ა. შ. 59. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 60. სამხედრო ხომალდების შენაერთი; 63. როგორი გაზები იცით? 64. გიორგი ლეონიძის ერთი მოთხრობის პერსონაჟი; 66. ჩალიჩის სახესხვაობა; 68. ფიზიკური ცნება; 69. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი; 71. სპეციფიური თავსაბურავი; 72. სოფიკო ჭიაურელის სცენიური გმირი; 73. ხის მოდიდო ღრმა ჭურჭელი; 76. ყველაზე ცნობილი დიასამიძე; 77. ყაზახური ლიტერატურის ფუძემდებელი; 78. ადამიანთა ყოფის სულიერ-მატერიალური ცნება; 80. სახელმწიფო აფრიკაში; 81. მარცხენა მიდრეკილების მქონე; 83. ძველი ელფერის მქონე სიტყვა; 85. აშშ-ში აჯანყებული იტალიელი მუშა (XIX ს.); 87. კრიტიკული სიტუაცია; 88. რძეში მოხარშული ცომი; 89. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 90. ქაღალდი-დოკუმენტი; 91. იგივეა, რაც ხახა.

**შვეულად:** 1. რუდოლფ ერიხ რასპეს მიერ შექმნილი ზღაპრული გმირი; 2. რუსი მოჭადრაკე და პიანისტი; 3. ბალეტ „ჟიზელის“ ავტორი; 4. თბილისის უბანი; 5. ძველი აღმოსავლეთის უდიდესი მეცნიერი-ენციკლოპედისტი; 6. მღვდელმსახურების სახესხვაობა; 7. ჟიულ ვერნისეული პერსონაჟი; 8. ჯომოლუნგმას პირველი დამპყრობი, შერპი; 9. ვაჭარი-ლათინურად; 10. რუსი ჩოგბურთელი; 11. რუსი კინომსახიობი ქალი; 16. ქართველი რეჟისორი; 20. კაცთმოძულეობა; 24. რძის პროდუქტი; 25. საქებარი სიტყვა; 27. ერთ-ერთი ჩვენი თანამედროვე გიორგაძე; 29. რომის პაპებს შორის გავრცელებული სახელი; 30. ქალაქი უკრაინაში; 31. რუსი მწერალი, ბუნების მესაიდუმლე; 33. ვორონეჟის საფეხბურთო გუნდი; 34. ქართლის ერთ-ერთი მეფე; 35. ჰომეროსის პოემის ცნობილი გმირი; 43. რუს მეფეთა უძველესი დინასტიის დამაარსებელი; 44. ალ. ჩხაიძის პიესა; 45. ავქსენტი ცაგარელის პიესა; 47. შეძენილი ნათესავი; 48. (ბატონი) არდაზიანი; 50. (ქალბატონი) გაბაშვილი; 51. შოკოლადის სახესხვაობა; 53. მამრის სასქესო უჯრედი; 54. მექსიკელი მხატვარი — მონუმენტალისტი; 55. ქართველი რეჟისორი; 56. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, გრაფი; 61. კრიტიკული, გადამწყვეტი მომენტი; 62. გრიგოლ ორბელიანის ლექსი; 64. გოგოლისეული პერსონაჟი; 65. თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი სახელოვანი მწვრთნელი; 67. სადღესასწაულო ულუფა; 70. ძლიერი ინფექციური დაავადება; 74. ბადე სინათლის სხივთა სტრუქტურული გარდაქმნისათვის; 75. ხორვატი ფეხბურთელი მადრიდის „რეალიდან“; 79. (კიდევ ერთი) აშშ-ში აჯანყებული იტალიელი მუშა (XIX ს.) 82. თითი; 84. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა; 86. სხეულის ნაწილი ზოგადად.

## ჩემპიონატში მონაწილეთა შედეგები პირველი აპრილისათვის

| | I ტური ქულა, % | II ტური ქულა, % | კოეფიც. |
|---|---|---|---|
| 1. იური გაბრიელიძე | 94—100% | 107—100% | 100 |
| 2. მურთაზ კიკალეიშვილი | 93—98.93 | 107—100 | 99.46 |
| 3. გიორგი სალრიშვილი | 93—98.93 | 107—100 | 99.46 |
| 4. გიორგი ერიქაშვილი | — | 106—99.06 | 99.06 |
| 5. გიორგი ვეკუა | — | 106—99.06 | 99.06 |
| 6. მამუკა ნებიერიძე | 92—97.87 | 107—100 | 98.93 |
| 7. არკადი ქურჩიშვილი | 91—96.80 | 107—100 | 98.40 |
| 8. ქეთევან ნიკოლაიშვილი | — | 105—98.13 | 98.13 |
| 9. ნინო გონაძე | 92—97.87 | 105—98.13 | 98.00 |
| 10. მანანა ბუცულაშვილი | 92—97.87 | 105—98.13 | 98.00 |
| 11. ლევან აგლაძე | 91—96.80 | 106—99.06 | 97.93 |
| 12. ავთანდილ თიკანაშვილი | 91—96.80 | 106—99.06 | 97.93 |
| 13. შოთა ფანჩვიძე | 90—95.74 | 105—98.13 | 96.93 |
| 14. გიორგი გიორგაძე | 91—96.80 | 100—93.45 | 95.12 |
| 15. გიორგი სახვაძე | 87—92.55 | 103—96.26 | 94.40 |
| 16. ვასილ ლომუაშვილი | 86—91.48 | 104—97.19 | 94.33 |
| 17. პაატა ლეკიაშვილი | 83—88.29 | 106—99.06 | 93.67 |
| 18. ლერი თოფჩიშვილი | — | 100—93.45 | 93.45 |
| 19. ალექსანდრე მათიაშვილი | 85—90.42 | 103—96.26 | 93.34 |
| 20. სალომე სალუქვაძე | 84—89.36 | 103—96.26 | 92.81 |
| 21. ნათია ელოშვილი | — | 99—92,52 | 92,52 |
| 22. გია მეტრეველი | 85—90.42 | 95—88.78 | 89.60 |

**კოეფიციენტის გამოანგარიშების ნიმუში:**

გიორგი სახვაძემ პირველ ტურში მაქსიმალური 94 ქულიდან დააგროვა 87, ეს 94-ის 92.55%-ია, მეორე ტურში 107-დან — 103 ქულა ანუ 96.26%. ორ ტურში პროცენტების ჯამი შეადგენს 188.81-ს. გავყოთ ეს რიცხვი 2-ზე (ტურების რაოდენობაზე) და მივიღებთ კოეფიციენტს — 94.40.

**პირველი ტურის პასუხები გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში**

**მესამე ტურის პასუხები მოიტანეთ რვა აპრილის ჩათვლით**

**ტურნირში ჩართვა შეგიძლიათ მეხუთე ტურამდე, ნებისმიერი ტურიდან.**

**ჩემპიონატის წესები:**

— ტურნირი დაყოფილია 10 ტურად (გაზეთის 10 ნომრად)
— მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას
— ყოველ სუპერკროსვორდში ერთი სწორად ამოცნობილი სიტყვა ერთი ქულაა.
— ჩემპიონატში მონაწილედ ჩაითვლება ის, ვინც წარმოადგენს არანაკლებ 5 ტურის პასუხებს (დადგენილ ვადაში) თუნდ მიყოლებით, თუნდაც ტურების გამოტოვებით.
— თითოეულ ტურში ქულები შეჯამდება შემდეგნაირად: სწორად ამოცნობილი სიტყვების პროცენტული რაოდენობის ჯამი გაიყოფა იმ ტურების რაოდენობაზე, რომელშიც კროსვორდის შემვსები მიიღებს მონაწილეობას. — გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვისაც ყველაზე მაღალი პროცენტული კოეფიციენტი ექნება.
— ტურნირში გამარჯვებულს მიენიჭება საქართველოს საგაზაფხულო საკროსვორდო ტურნირის ჩემპიონის ტიტული, დაჯილდოვდება გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზით და ფულადი თანხით. პრიზები გადაეცემათ მეორე-მეხუთე ადგილის მფლობელებსაც.

პასუხები წარმოადგინეთ შემდეგი სახით:

— გაზეთში მოთავსებულ ჩარჩოში ჩაწერილი
— ნაჯღაბნისა და გადასწორების გარეშე
— პასუხი არ ჩაითვლება „ქულად“, ერთი ასოც რომ იყოს არასწორად ჩაწერილი.
— გისურვებთ წარმატებას.

**მონაწილის სავიზიტო ბარათი**

გვარი ______________________

სახელი ______________________

მისამართი ______________________

ტელეფონი ______________________

# კროს-ფანტაზია

## მიმინო-ვორდი

*გია დანელიას ფილმების რეტრო(კროს)სპექტივა*















თარაზულად: 5. უბადლო თამადის (... და, რათქმა უნდა პოეტისაც) მშობლიური სოფელი გარე კახეთში; 11. იხილეთ ფოტო მარცხენა ზედა კუთხეში და გაიხსენეთ: რომელი ბერძენი კომედიოგრაფის სახელი ჰქვია ამ მღებავს; 12. შვედეთის ფულის ერთეული; 13. ადამიანისა და ცხოველის ინფექციური დაავდება (ღმერთმა გაშოროთ); 14. (თუნდაც „მიმინოს“) სადემონსტრაციო ფართი; 15. ქართველთა სოფელი საინგილოში; 16. იხილეთ ფოტო მარცხენა მხარეს, შუაში და გაიხსენეთ რა გვარია ეს „გივი ივანიჩი“ ცხოვრებაში; 17. მე-18 საუკუნის ფრანგი დრამატურგი; 19. გაიხსენეთ იმ კაცის ისტორიული სამშობლოს სახელი, რომელსაც ვალიკო მიზანდარი ტელეფონით ესაუბრება; 20. დიდი ვერიკო ანჯაფარიძის მიერ გახმოვანებული მულტპერსონაჟი (სხვათა შორის ქალბატონი ვერიკო გია დანელიას დეიდა გახლდათ); 22. საავიაციო თვითმავალი მექანიზმი; 24. რომელი ქართული საჭმელი მოიხსენია ვალიკომ იმ „სასტუმროში“, რომლის „დირექტორიც“ რუბიკა გახლდათ? 26. რუსი მსახიობი, რომელიც ლუი დე ფიუნესის როლებს ახმოვანებდა რუსულად; 27. XIX-XX სს. ესპანელი საოპერო მომღერალი (ვინმე) გარსია... 29. ავთანდილის ერთგული მსახური (ნაწარმოების სახელს ვერ გეტყვით... ვერა!); 32. ნატო ვაჩნაძის ერთ-ერთი კინოროლი; 33. ესტონელი ესტრადის მომღერალი ქალი (გასული ნომერშიც ვახსენეთ); 34. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 35. იხილეთ ფოტო მარცხენა ქვედა კუთხეში და გაიხსენეთ რა საჭმელი უყვარს ამ კაცს; 36. სამხრეთ საქართველოს რაიცენტრი; 39. ოქროს სახესხვაობა; 42. გეომეტრიული ფიგურა; „ლავუაზიეს“ კანონიდან; 43. მოსახლეობის გადაადგილება; 44. (ბატონი) ჭოხონელიძე, იბრაგიმი — „ფატიმადან“; 45. ერთი დიდი ქართველის მკვლელობის ადგილი; 46. ჯადოქარი ინდოელი; 47. იტალიური კინოს დიდი რეჟისორი; 48. იხილეთ ფოტო მარჯვენა ზედა კუთხეში და გაიხსენეთ რა პროფესიისაა ეს პერსონაჟი; 49. რა მოაწყეს ვალიკომ და რუბიკამ მოსკოვის ერთ რესტორანში.

შვეულად: 1. იხილეთ ფოტო მარჯვენა სვეტის შუაში და გაიხსენეთ რა გვარია ეს მშვენიერი სტიუარდესა ცხოვრებაში; 2. (ქართული) საკვები ბალახეული... ნიგვზით; 3. იხილეთ ფოტო მარჯვენა ქვედა კუთხეში და გაიხსენეთ ეს ნუგზარი, რა გვარია ცხოვრებაში; 4. რა მოხდა გურიაში ფენატე ნინოშვილის თანახმად; 5. (ბატონი) გრუზინსკი „ჩიტო-გვრიტოს“ ტექსტის ავტორი; 6. პუშკინის პერსონაჟი „ბახჩისარაის შადრევნიდან“; 7. ცოდნის მარაგის სახესხვაობა; 8. სახელი აღორძინების ხანის ერთი დიდი იტალიელისა; 9. ამერიკის დამპყრობი — ზოგადად; 10. ქალაქი შუა აზიაში; 12. გია დანელიას სამოღვაწეო სფერო; 18. ვალიკოს ძაღლი, (ჯიში უცნობია); 20. თუ იცით, რა გვარია მსახიობი, რომელმაც არ იცის, თუ ვინ არის დეიდა ნინა თბილისიდან; 21. რა გვარია მსახიობი, რომელიც ვალიკოს დას ასახიერებს? 23. სამჭედლო ხელოვნების ღმერთი ძველ საბერძნეთში; 25. გერმანელი რეჟისორი, ქართველთა დიდი მეგობარი; 28. რა ეროვნებისაა ფატიმას როლის შემსრულებელი; 30. მოსაპირკეთებელი მთის ქანი; 31. ცენტრ. ამერიკის სახელმწიფო; 33. ალკოჰოლური სასმელი; 37. მთა გარეკახეთში; 38. მძაფრი სუნის მქონე ხე; 39. პერსონაჟი კინოფილმისა „სიყვარული ყველას უნდა“; 40. მცირე ხნის წინ თბილისში არსებული სავაჭრო-სამრეწველო კომპანია; 41. ტანვარჯიშული იარაღი; 42. კივილ-პანიკის სახესხვაობა; 43. დოდო ჭიჭინაძის კინოპერსონაჟი ერთი ზღაპრიდან.

## 80 ათასი კილომეტრი... კროსვორდის თანხლებით

### მეექვსე გაჩერება — „სკანდინავია“

**დანია** — (დანიის სამეფო გახლავთ), მდებარეობს იუტლანდიის ნახევარკუნძულზე, ტერიტორიით (43,1 ათასი კვ. კმ.) ქართლ-კახეთის ტოლია, არც მოსახლეობაა ბევრი — სულ 5,2 მლნ. ადამიანი (... და არაადამიანი). რწმენით ლუთერანები არიან; დანიას ეკუთვნის ფარერის კუნძულებიც, დედაქალაქი (მოგეხსენებათ)— კოპენჰაგენი; თავიანთ პარლამენტს „ფოლკეტინგს“ უწოდებენ — გეგონება არ შეუძლიათ მიებაძათ ამერიკისათვის და „პარლამენტის“ ეთქვათ (გენაცვათ!).

**ნორვეგია** — (ესეც სამეფოა), ტერიტორია დიდი აქვს — 387 ათასი კვ. კმ. (კუნძ. შპიცბერგენიც კი მისია); მოსახლეობა კი იმდენია (4,2 მლნ.), რაც ჩვენ დაგვრჩა ბოლო დროს. დედაქალაქი მე-4 ვერტიკალზე ჩაგიშიფრეთ; პარლამენტს აქაც რაღაც (ქაჯური) „სტორტინგი“ ჰქვია.

**ფინეთი** — (თავიანთ ქვეყანას „სუომის“ უწოდებენ), კარგა დიდი ქვეყანაა, 337 ათასი კვ. კმ. და მოსახლეობა იმდენია — 5 მლნ, რაც ოდესღაც ჩვენ გვყავდა (გვწამს, რომ ისევ გვეყოლება). დედაქალაქი — ჰელსინკი; პარლამენტს ადამიანური პარლამენტი ჰქვია... დასეირნობენ თავის ათასობით ტბაზე, მიირთმევენ ძვირფას ძეხვს და რა უჭირთ, რა.. არც გარე ვაჭრობა აწუხებთ და, მგონი, არც შიდა კორუფცია.

**შვედეთი** — (კიდევ ერთი სამეფო). ტერიტორია — 450 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 8,5 მლნ. მცხოვრები (... და არამცხოვრები). პარლამენტი — რიგსტაგი. უმაღლესი წერტილი — მთა კებნეკაისე (კარგი საკროსვორდო სიტყვა!).




თარაზულად: 3. მდინარის დინების სახესხვაობა; 6. სკანდინაველი მეკობრე-ზღვაოსანი (... თან მეომარი); 7. ქალაქი შვედეთში; 9. შვედი ჩოგბურთელი; 10. მუს. ნაწარმოების სახესხვაობა; 15. რუსეთის ქალაქი, სკანდინავიის სიახლოვეს; 18. შვედეთის მეფეთა გავრცელებული სახელი; 20. შვედური საესტრადო ანსამბლი; 21. დიდი დანიელი მეზღაპრე; 22. შუა სს. სკანდინავიის ქვეყნების სამეფო დინასტია (მრ. რ.); 24. როგორი მეფე იყო კარლოს XII შვედეთისათვის; 25. იაპონური ფირმა (ჩავალთ... ჩავალთ იქ!); 27. ინგლისელი ზღვაოსანი, ფრენსისი (ჩვენც ხომ ზღვაოსნები ვართ!); 29. ქალაქი საფრანგეთში (მალე იქაც ჩავალთ); 31. ადგილი, სადაც ცა და დედამიწა „ერთდება“; 32. ფრანგი კინომსახიობი; 34. ახლის აღმნიშვნელი გეოგრაფიული წინსართი; 39. ყველა დროის უდიდესი შვედი ჩოგბურთელი; 40. იტალიური ავტომობილი; 42. სამხრ. ამერიკის სახელმწიფო; 43. ყაზბეგის მოთხრობის პერსონაჟი; 44. ნორვეგიელი ზღვაოსანი — მკვლევარი „კონ-ტიკის“ ექსპედიციის სულისჩამდგმელი; 45. რა შეიძლება ეწოდოს ამას: დოსტოევსკის „იდიოტი“ ქართულად თარგმნო დანიური ენიდან?

შვეულად: 1. შვედი მეზღაპრე ქალი; 2. ნორვეგიის ქალაქი, ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი; 3. პლასტიური ხელოვნების წარმომადგენელი მსახიობი; 4. ნორვეგიის დედაქალაქი; 5. შვედეთის წვრილი ფული; 8. ფინეთის ფულის ერთეული; 11. ნორვეგიელი ქალბატონი — ზოგადად; 12. (რამ გამახსენა?!) უფროსი მოსამართლე — ძველად; 13. პლანეტა ურანის თანამგზავრი; 14. აშშ-ს შტატი (აქაც ჩაეჩხირა!); 16. შვეული № 18-ის ნამდვილი გვარი; 17. დიდი ნორვეგიელი დრამატურგი; 18. კინომსახიობი გრეტა, წარმოშობით შვედი; 19. რა შეიძლება იყოს ეს: შვედეთში სუფრაზე შვედმა თამადამ „ყველაწმიდის“ სადღეგრძელო შემოგთავაზოს მოულოდნელად? 23. (კიდევ ერთი) ნორვეგიელი ზღვაოსანი – მოგზაური; 24. ძვ. რომაელი მწერალი – ისტორიკოსი (55-116 წწ.); 26. (კიდევ ერთი – გენაცვათ!) ნორვეგიელი ზღვაოსანი –მოგზაური, არქტიკის მკვლევარი; 28. ქალაქი ფინეთში; 30. ქალაქი ავსტრალიაში; 31. ნორვეგიელი მწერალი, ფაშიზმის იდეოლოგი; 33. მაშ, რა არის ბევრი ფინეთში? 35. შვედური ავტომობილი; 36. გარეული ცხოველი (სკანდინავიაშიც ბევრია!); 37. შესანიშნავი ნორვეგიელი კომპოზიტორი; 38. (თუნდაც სკანდინაველი) მეთევზეების სამუშაო „ატრიბუტი“; 40. თუ იცით, რა შედეგი დაფიქსირდა 5 მარტს ნორვეგიაში „რუზენბორგსა“ და „იუვენტუსს“ შორის? 41. რა ჰქვია თარაზულ № 44 მოგზაურს?

## აჯაფსანდალი — 52

თარაზულად: 4. ტარსადე; 11. ჩაროჩა; 12. რატიზა; 13. ნესრალი; 14. კებვოსი; 15. ჭურალია; 16. ფოსტალი; 17. ვაძლემი; 19. გესტაპი; 20. კოალე; 21. პირატ; 28. მუცლიკია; 29. ტუკირალი; 30. კუდინანო; 31. ლაზიკაბი; 32. ტანდირია; 33. ტანგრიმი; 38. რაპლა; 39. დონჰა; 43. დონქარი; 45. გუატინა; 46. მუტიზია; 47. ვერგინი; 48. ქოშიჩი; 49. პიგერეა; 50. დარენი; 51. ულირუი; 52. ბაირაკი.

შვეულად: 1. ძერგოდი; 2. კოხრავი; 3. ვაყმალა; 5. ტრაკპასი; 6. ფისერი; 7. გლანდარი; 8. პაჭრაკი; 9. გარდაბი; 10. ტელისტი; 18. იმუროტანილი; 19. ტრაკპასადია; 22. რენასკი; 23. კოდალბა; 24. ალამიპი; 25. ტრიმიდი; 26. ნოიბული; 27. არატინი; 34. გზაბლანე; 35. ტრენისკო; 36. პორნოსა; 37. რადმევი; 38. პარჭანი; 40. ტონინაო; 41. მშიერში; 42. რუჩლუჩი; 44. მულიყი.



## ტელეფანტაზია

# კორაიმა ტორესი: „დღეს უკვე ყველა მცნობს, განსაკუთრებით — ბავშვები“



ინტერვიუ

**გთავაზობთ ინტერვიუს კასანდრას როლის შემსრულებელთან კორაიმა ტორესთან. ინტერვიუს უძღვება პარაკასში გამომავალ გაზეთ „ექსცელსიორის“ კორესპონდენტი ერნესტინა როხასი.**

**— კორაიმა, უნდა გითხრათ, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტელეეკრანზე დიდი წარმატებით მიდის შენი „კასანდრას“ ჩვენება. ამ როლმა შენ უდიდესი წარმატება და პოპულარობა მოგიტანა. დღეს შენ უფრო პოპულარული ხარ ვენესუელაში, ვიდრე ირენ საეზი („მის სამყარო“ — 1991). გრძნობ თუ არა ამ პოპულარობას და კმაყოფილი ხარ თუ არა შემოქმედებითი თვალსაზრისით.**

— პოპულარობით ძალიან კმაყოფილი ვარ. დღეს უკვე ყველა მცნობს, განსაკუთრებით ბავშვები. ისინი თავს ვერ იკავებენ და კასანდრას მეძახიან. ზოგიერთი წერილს მწერს, თავისთან მეპატიჟება. წერილებს კი თითქმის ყველა კონტინენტიდან ვილებ, ხანდახან — იმდენს, რომ წაკითხვასაც ვერ ვასწრებ. მაგრამ ეს პოპულარობა იმდენად ჩემი დამსახურება არ არის, თვით კასანდრაა, როგორც პერსონაჟი ძალიან საყვარელი. ამ როლზე სამი კანდიდატურა ვიყავით წარდგენილი. იმ ორს რომ ეთამაშათ ეს როლი, ისინიც ასეთივე პოპულარულნი იქნებოდნენ. მე ვთვლი, რომ ბედმა გამიღიმა, როდესაც ეს როლი მე შემომთავაზეს.

**— მაინც რით აჯობე იმ ორ კანდიდატს?**

— ის გოგონები გარეგნობით მჯობდნენ. თავიდან მიკვირდა კიდეც რეჟისორის გადაწყვეტილება. მაგრამ მერე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ალბათ, დააკვირდით, კასანდრა არც ისე ლამაზი გოგონაა, ფილმში ბევრია მასზე უკეთესი, რეჟისორის ჩანაფიქრით კასანდრა ბოშა უნდა ყოფილიყო და თან არ უნდა ყოფილიყო. ბოშა ქალები, ფილმებში, ალბათ, დაკვირვებიხართ, ტრადიციულად თავხედები და უზრდელები არიან და თითქმის ყველას, ულამაზესსაც კი, ქალის სინაზე დაკარგული აქვს. „კასანდრას“ რეჟისორს კი სულ სხვანაირი, არასტანდარტული ბოშა ქალი სჭირდებოდა და მე ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ შევძელი ამ ბოშა ქალის როლის შესრულება.

**— სხვა ტელესერიალებს თუ უყურებ და რამდენად სერიოზულად მიგაჩნია ამ ფილმში წარმატება?**

— თითქმის არცერთი ტელესერიალი ყურადღების გარეშე არ მრჩება. ყველა მაინტერესებს. ხშირად მათ „საპნის ოპერებს“ და არასერიოზულ ფილმებს უწოდებენ. მართალია, ეს არ არის კლასიკური კინემატოგრაფი, მაგრამ მათი, და მითუმეტეს მასში მონაწილე მსახიობების, უკანა პლანზე დაწევა არასწორად მიმაჩნია. მსახიობის პროფესიონალიზმი ყველანაირ ფილმში კარგად ვლინდება. თქვენ უნდა ნახოთ, როგორ მუშაობს როლზე მექსიკელი ვერონიკა კასტრო. მე ის ერთხელ ვნახე გადასაღებ მოედანზე და შემეშინდა კიდეც, რადგან დავინახე, რომ ეს ქალი მზად არის, როლისათვის ყველაფერი გაიღოს, თვით თავისი სული და ჯანმრთელობაც კი. იგი ბოლომდე იხარჯება ყველა როლზე და ამოტომაცაა დიდი მსახიობი. მთავარი სწორედ ეს არის — დაიხარჯე ბოლომდე შენი საქმისათვის და გინდა მარიანა ითამაშე და გინდა ჯულიეტა.

**— „კასანდრას“ პერსონაჟებიდან ვისთან გაქვს ახლო კონტაქტები?**

— ფილმის შემდეგ ყველანი ძალიან დავახლოვდით, ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით. ახლაც ხშირად ვართ ერთად. ყველაზე ახლოს ვარ ჰენრი სოტოსთან (რანდუს როლის შემსრულებელთან — რედ.), მაგრამ ჩვენი ურთიერთობა მეგობრობას არ სცილდება.

**— კასანდრა ვინ იყო? თუ იცით, საიდან მოვიდა ეს სახელი?**

— ვიცი, რეჟისორმა მითხრა. ბერძნული მითოლოგიის გმირი ყოფილა.

**— სახელ კორაიმას წარმოშობის ისტორიაც გეცოდინება.**

— ეს სახელიც უძველესია. ინდიელთა ტომის ბელადის ქალიშვილს ერქვა.

**— გადაღებებისაგან თავისუფალ დროს რას აკეთებ, რითი ერთობი, რა არის შენი ჰობი?**

— კასანდრას როლის შემდეგ უკვე ბევრი რეჟისორი მირეკავს და როლს მთავაზობს. ზოგი როლი მომწონს, ზოგი არა. ჩემთვის უკვე ძალიან ძნელია როლის არჩევა. შეიძლება როლი კარგი არ გამოვიდეს და მაყურებელს იმედი გაუცრუო. თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, მაგრამ მაინც ვახერხებ წიგნების კითხვას და ფილმების ყურებას. ჩემი ჰობი კი მოგზაურობაა, რასაც ჯერ ვერ ვახერხებ. **ჩემი ოცნებაა საკუთარი გემი მქონდეს და საითაც მინდა, იქით გავცურო.** შეუძლებელი არაფერია და ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**— კასანდრა... უკაცრავად..., კორაიმა, როგორი მამაკაცები მოგწონთ?**

— მომწონს გარეგნობით **ჩაფსკვნილები, ღონივრები და ძერები, მაგალითად, რობერტ რედფორდი,** მე ისეთი მამაკაცები მომწონს, რომლებიც ღირსებას არაცერთ სიტუაციაში არ კარგავენ. მამაკაცისგან უწყვეტ ნაკადად უნდა მოედინებოდეს სიდარბაისლე, ღირსება, ჭკუა და სიკეთე. სწორედ ამითი უნდა განსხვავდებოდეს იგი ქალისაგან.

*(იბეჭდება შემოკლებით)*
*თურქული პრესის მასალების მიხედვით*

# რა დაემართათ ჩვენს გმირებს გასულ კვირას?

### ახალ გარემოსთან შეგუება

– მოხდა ის სასწაული, რასაც ამდენ ხანს ელოდა მაყურებელი: კასანდრამ საკუთარი დედის, ანდრეინას, ოთახში ცხოვრების უფლება მიიღო, მას კი ერთი ეჭვი შეუჩნდა – ნუთუ მართლა გარეგნული მსგავსებაა მიზეზი იმისა, რომ იგი ამ მდიდარი სენიორის (ალფონსოს) სახლში აღმოჩნდა?! „კი ვგავარო მის შვილს – ფიქრობდა ძალად ბოშა გოგონა – მაგრამ ნუთუ ეს საკმარისია?! ეგებ ეს იგნასიომ ჩააგონა მამას, აქ რომ მომიყვანეს?!...“ – ამ ეჭვებით დაბინავდა „იმ გარდაცვლილი ქალის“ ოთახში და თავისი ბებია დარინდაც იქვე, თავის გვერდით დააწვინა.

„შენი სურვილი აქ ბრძანების ტოლფასიაო“ – ჰემაც ამას ეუბნებოდა, მაგრამ გაავებული როსაურას გესლი მაინც აშფოთებდა კასანდრას, როსაურას კი გაავების საფუძველი მართლაც ჰქონია! განა მარტო ის აღელვებდა, რომ ბოშების მსახურიც შეიქნა?! არა!... თუმცა ამის შესახებ – მოგვიანებით...

ქალი მაინც ქალია და დარინდა ახალი გარემოს შეფასებას რაღაც „ჩვრების და ჭინჭების“ თვალიერებით შეუდგა; მისი დასკვნა მისივე „საკადრისი“ იყო – აქაურობა ანგელოზის ხელქმნილ გარემოს ჰგავს, მაგრამ ბოშური ფერების სიხალისე აკლიო, თუმცა გვერდით ოთახში სხვა ინტრიგა დაიბადა:

ის ჩვენი ჩაბელა ერმინიას ეახლა, „ცეცხლზე ნავთის დასხმას“ შეუდგა და ერთხელაც აუწყა – შენი შვილი, იგნასიო, მალე კასანდრას ცოლად შეირთავსო. ვინმეს ეგონებოდა, ჩაბელას იგნასიო უყვარს და ამიტომ მაბეზღარობსო, მაგრამ თურმე სხვა რამ სდებია გულში – ოღონდ მაღალი წრის კაცს გაჰყვეს ცოლად და, სულერთია, იგნასიო იქნება ის თუ ვინმე სხვა, თუნდაც – ადვოკატი... თუმცა მოვლენებს წინ გავუსწარით...

ჰოდა, ერმინია-ქალბატონმა შვილს დაკითხვა მოუწყო: „რად ირჩიო ბოშა?..განა იგი შენი საკადრისიაო?... ნუთუ ასეო, ნუთუ ისეო, და... შვილმა მოკლედ მოუჭრა:

„დედა, მე ყველაფერი ვიცი!“

„მაინც... მაინც... რა იცის?! ვინ უთხრა... რატომ?! ალბათ, ამიტომაც ისურვა მისი ცოლად შერთვა? ო, ღმერთო ჩემო?!“

ბოროტებაში მხილებული ადამიანი საოცრად უსუსური ხდება ხოლმე, მას საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტიღა რჩება საშველად და იმედად, მაგრამ ყოველთვის როდი ამართლებს ეს საშუალება... გენახათ, ერთი როგორი მორჩილებით უმზერდა ეს გოროზი ქალი (ერმინიაზე მოგახსენებთ!) ქმარს, რომელიც კვლავაც მუქარის სიტყვებს ახვავებდა ერთ საღამოს („ჩემს შვილიშვილს კარგად თუ არ მოეპყრობი, გაგაგდებო“ და ა. შ.). თუმცა მთავარი მაინც ის იყო, რომ ალფონსო ძირშივე შეეცადა მორიგი ბოროტების მოშთობას და იმის ძიებას შეუდგა – დედის განზრახვით ხომ არ მოქმედებს ეს თვალხარბი იგნასიო და კასანდრა სიმდიდრის მოპოვების საშუალება ხომ არ არისო მხოლოდ?!

ალფონსომ მატიასიც კი დაიბარა და მკაცრად გააფრთხილა, რომ 18 წლის წინ ჩადენილი ბოროტებისათვის ციხეში ამოალპობდა, თუკი მის ქალიშვილს, როსაურას, კარგი ტონით ქცევას არ მიაჩვევდა და როგორც მოგახსენეთ, ბოროტების ფესვების ამოძირკვა იყო ბედნიერი ბაბუის ყოველი ნაბიჯი და მცდელობა, მაგრამ...

ეჭვები – ეჭვები – ეჭვები

იქნებ ნამდვილად უყვარს ამ თვალხარბ ბიჭს მისი შვილიშვილი?! განა შეიძლება, რომ ღვთისნიერმა კაცმა ორი მოყვარული არსება ურთიერთს დააშოროს... განა შეიძლება?!

არადა, იგნასიოს ავისმზრახველობა თვით ყველაზე ფხიზელი ადამიანისათვისაც სათუო გახდა, რადგან იგი ადვოკატს ეწვია და ოფიციალურად განაცხადა, რომ ბოშა ქალს ირთავს და საამისოდ შესაბამისი საბუთების შეგროვება იმ ერთ პატიოსან ადვოკატს ევალება... პატიოსანი-მეთქი, მოგახსენეთ, რადგან ამ იურისტს, თავის მხრივ, სხვა ზრახვები აქვს და ესეც ალფონსოს ქონების ღირსეული კაცის ხელში მოხვედრას უკავშირდება... როგორც ჩანს, ამ ადვოკატმა რაღაც იცის ლუის დავიდის შესახებ... ვნახოთ!

ერთი სიტყვით, გაჩნდა ახალი პრობლემა – შერთონ თუ არა კასანდრა იგნასიოს?!

### „სადილი“

კასანდრას და დარინდას ის დღეც დაუდგათ, ამ დიდი სახლის წმინდა რიტუალზე, სადილზე რომ უნდა სწვეოდნენ ალფონსოს ოჯახს. ბებია ამ ფაქტს ისევ ქალური „სისუსტით“ აღიქვამს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ მორთვა-კაზმულობაში სხვაზე ნაკლებნი არ ყოფილიყვნენ... ეგებ ეს უნებლიე „ფანდიც“ იყო საიმისოდ, რომ მტრებთან პირისპირ შეხვედრამდე სიმშვიდე მოჰფენოდა. გადიდქალებული ბოშების გულებს ვინ იცის?! მტრობა კი მართლაც უხამს სიურპრიზს უმზადებდა მათ.

სადილის დაწყებამდე ალფონსო აროჩას ზემოხსენებული ადვოკატი, იურისპრუდენციის დოქტორი, გვარად ალონსო ეწვია; რაღაც ქაღალდების გამო მოსულიყო და ბარემ ჰემას ნახვაც სურდა, რომელიც ადვოკატის ოფისში სამსახურის დაწყებას აპირებდა. აქ ჩაბელას თემაც შემოვიდა და მან მგონი თვალი დაადგა ალონსოს, როგორც მისთვის სასურველ საქმროს, და ოჯახის თავმაც ერთგვარად ხელი შეუწყო შესაძლო „რომანის“ დაწყებას იმით, რომ დოქტორი ალონსო სადილად მიიწვია („ქაღალდების ქექვას მერეც მოვასწრებთო...“)

– მაგიდას მიუსხდნენ...

ალფონსო – „ჩვენ ჩვენი ოჯახის ორი წევრი გვაკლია, დაველოდოთ მათ“.

იგნასიო – „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი საცოლე პირველად ისადილებს ჩვენთან!“

(კასანდრა და ბებიამისიც შემოვიდნენ).

ალფონსომ ისეთი თვალებით გადახედა ცოლს, რომ მას ესლა ეთქმოდა: „კეთილი იყოს ამ ოჯახში შენი მოსვლა, კასანდრა... (ვაი, ამ თქმას!) მეკერა, ჩვენთან კარგად იქნებიო!

„დიდი მადლობაო“ – სხვა რა ეთქმოდა სადედამთილოსათვის ყოფილ ბოშა გოგონას, რომელიც ნაირგვარ დანა-ჩანგალს და ჯამჭურჭელს შიშით უმზერდა, – „რაიმეს მოპარვა არ დამაბრალონო: (ასეთია ბოშის ბედი!), ან ისე არ მოვიქცე – ჩაბელა-როსაურების სადრახისი გავხდეო...“ თუმცა ჰემა იქვე იჯდა და იმედიც აშკარა და საცნაური იყო.

მოსადილენი სადილს შექცეოდნენ და ამ დროს სამზარეულოში კიდევ ერთ მრავალწლიან საიდუმლოს ეხდება ფარდა: ეს მატრაკვეცა ჩაბელა როსაურას უკანონო შვილი ყოფილა! როსაურას ზიზღი კასანდრას მიმართ სწორედ ამით ყოფილა გამოწვეული – მას თავისი ჩაბელა იგნასიოსათვის ჰყოლია გამზადებული და ამ დროს ეს საზიზღარი ბოშა გამოჩნდა... ჰოდა, თითქმის დაიკარგა იმედი იმისა, რომ ჩაბელა „სინიორიტა“ გამხდარიყო, მაგრამ როსაურამ დაიფიცა – კასანდრას ჩემს გოგონაზე არ გავამარჯვებინებო! არაო, არაო!

იქვე სადღაც სიახლოვეს ამასობაში ოფელია და ტობიასი სხვა პრობლემებს წყვეტდნენ – რა ეშველება რანდუს? – თუმცა, თქვენის ნებართვით, ამ მეორეხარისხოვან ამბებზე ყურადღებას არ შევაჩერებთ.

რაღა თავი შეგაწყინოთ და, სადილობისას კასანდრას იმ ჩვენებური, დარისპანისეული კაროჟნასი არ იყოს, ერთი მარცხი მოუვიდა... ჩაბელას თავხედობით ნერვებაშლილმა სუფრაზე ღვინო დაღვარა და მიეცათ საბაბი ქალებს კინკლაობის, კასანდრა კი ტიროდა, ტიროდა...

სიტუაცია დაიძაბა და ალფონსო აროჩამ ერთი ლოგიკური წერტილი დაუსვა იმ სადილს – ადვოკატს აცნობა, რომ ახალი ანდერძის დატოვებას აპირებს, იგი თავის ქონებას, ალბათ (თუმცა – რაღა ალბათ?!) კასანდრას დაუტოვებდა...

ვნახოთ, ვნახოთ!

როგორც ჩანს ეს ჩვენი ახალი ნაცნობი ადვოკატი ძალზედ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ამ დიდი სახლის ბინადართა ცხოვრებაში...

ვნახოთ, ვნახოთ!

– და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩაბელას ადვოკატი (მგონი) შეუყვარდა, ეს კი იმ წუთას მოტირალი კასანდრას მიმართ მტრობისა და შუღლის შესუსტებას ოდნავ მაინც გამოიწვევს.

## 1 აპრილი „კასანდრას“ პერსონაჟებთან ერთად














### რეკლამა

**გინდათ გახდეთ საქართველოს ჩემპიონი კროსვორდის შევსებაში?! — მაშ მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზზე ჩატარებულ ტურნირში.**

**(თუ არ გინდათ, ნუ მიიღებთ! — არავინ გაძალებთ)**


და ბოლოს: გასულ ოთხშაბათს მთავარი ის იყო, რომ სენიორ ალფონსო აროჩამ ბოროტების ფესვთაგან უმთავრესის ამოძირკვა სცადა, მან იგნასიოს აუკრძალა კასანდრას ცოლად შერთვა!

(გესმის, იგნასიო?! – აგიკრძალეს!)

*– თუმცა თქვენი მონა-მორჩილი (ამ სტრიქონების მთხზველი) ღრმადაა დარწმუნებული, რომ ალფონსო ვერაფრით შეძლებს თავისი ქონების გადარჩენას ამ ყმაწვილის ხელში ჩავარდნისაგან.*

*– რაღა დაგიმალოთ და იმავე თქვენი მონა-მორჩილისათვის „კასანდრას“ მომავალი სერიების შინაარსი თითქმის ცნობილია მეზობელ სომხეთსა და თურქეთში ამ ტელესერიალის დემონსტრირების წყალობით, მაგრამ...*

*მაგრამ ვფიცავთ, რომ წინასწარ ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვით, რათა ინტერესი არ განელდეს „კასანდრას“ მიმართ...*

*– ამ გვერდზე მოთავსებული ღიმილიანი სახეები კი მხოლოდ ხარკის მოხდაა პირველი აპრილის ტრადიციის მიმართ...*

**ნახვამდის!**

**შემდეგ ნომრამდე!**

**ღმერთმა სულ ღიმილის გუნებაგანწყობით გამყოფოთ!**

# CROSS-GALLERY

# ღიმილიანი ნაცნობები — ნაცნობ გაზეთში






















**ის, ვინც პირველი მოიტანს მთლიანად შევსებულ კროსვორდს, მიიღებს სამახსოვრო წიგნს და მისი ფოტო გამოქვეყნდება კროსვორდის ცენტრში**






თარაზული




შვეული




**თარაზულად:** 6. ჯიუტი ადამიანების „სამანიპულაციო" თვისება; 9. (იხილეთ ფოტო) ხომ უნდა ვიამაყოთ ამ ქალბატონით? — უნდა ვიამაყოთ! 14. (იხილეთ ფოტო) გაიღიმებს, აბა, რა?! — თანამედროვეობის უდიდესი მუსიკოსია! 16. (იხილეთ ფოტი) საოცარი კომედიები გადაიღო და... ეჰ, მოკვდა! 17. (ჯვარი აქურობას) ხის ან ქვის კუბო; 18 ჩვენი საყვარელი მოხუცების დაავადება (გახსოვს?!...რავა არ მახსოვს"... და ა.შ.); 19.წვერის საღებავი; 21. ერთი ქალაქური ხატოვანი თქმის „სანტექნიკი"; 22. (იხილეთ ფოტო) ისეთი მამინაცვალი ჰყავს, სალიმილოდ კი აქვს საქმე! 23. (თავად) ჰიტლერი; 24. კატეგორიული მოთხოვნა; 27. (ქალბატონი) ბერნარი (იხილეთ „ფანტაზია" №6); 28. (იხილეთ ფოტო) ამ კაცს იმდენი ოქრო-ვერცხლი აქვს მოპოვებული, რომ... კი აქვს ღიმილის მიზეზი! 29. ერთგვარი ფრინველი ღამისა... 31. „დიდების" პირველი ნახევარი; 33. აშშ-ს შტატი (კი ამბობს — „ვაი"-ო, მარა ამერიკული ღიმილის საბადო მაინცაა); 35. შენიღბული ქალი, რომელიც ტოროლას უმღერის; 36. გურამი, რომელიც (რატომლაც?!) აღარ გველანდება; 40. არგენტინელი მწერალი, ხულიო... 42. შექსპირის პერსონაჟი, სხვათა „ღიმილ-ტრფიალის" მოშურნე; 43. თანამედროვეობის „უდიდესი" რუსი; 44. ტბა იტალიის ალპებში; 45. რუსი მწერლის, გონჩაროვის შემოქმედების (განზოგადებული) პერსონაჟი; 48. (იხილეთ ფოტო) ამ კაცის ერთი კოლეგა გაიხსენეთ და.... ჩაწერეთ! 50. ქართველი მწერალი-ბელეტრისტი აკაკი... (ბელეტრისტიმეთქი); 53. 1976 წლის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში, ქალთაშორის; 54. ძველი აღმოსავლეთის უდიდესი მეცნიერიენციკლოპედისტი; 58. (იხილეთ ფოტო) ასეთ მსახიობს კი შეჰფერის ღიმილი; 59. ციმბირის ქალაქი; 61. რაგვარი იყო (სწორედ ის) ურიელი? 64. ვინ წამოხტა ზეზე ლომივით? (მერე, რა თქმა უნდა, ისევ დაჯდა); 68. რუსი რევოლუციონერკავალერისტების თავსაბურავი; 69. წმინდაწყლის მათემატიკური ცნება; 70. თუ გახსოვთ ფილმი „ყუბანელი კაზაკები"? —ჰოდა, რა გვარისაა ის მსახიობი ქალი (ობვოროჟიტელნი" ღიმილით); 71. ახლა ნორმან უინზდომი და მისი მთავარი კინოგმირი გავიხსენოთ; 72. 60-70-იანი წწ. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 73. მუსიკალური სპექტაკლი.

**შვეულად:** 1. (იხილეთ ფოტო) თუ იცით, ეს კაცი თბილისის „დინამოს" მცველი რომ იყო ერთ დროს?! 2. ფსიქიური კრიზისი; 3. რეჟისორი ფილმისა „დიდი მწვანე ველი"; 4.წმინდაწყლის ტრიგონომეტრიული ცნება; 5. (იხილეთ ფოტო) ამ კაცს ჰგონია, რომ უდიდესი კომიკოსია?! 6. (იხილეთ ფოტო) აი, ეს კაცი ყველაზე კარგ რუსულს ლაპარაკობს სომხებს შორის; 7. ორანძიანი იალქნიანი გემი; 8. (ფოტო ვერ ვიშოვეთ). ეს ქალბატონი ვიოლინოს დაკვრის დროსაც კი მომხიბლავად იღიმება (ერთდროს 36-ე თარაზულმა გურამმა ძალზედ გაანაწყენა); 10. გიორგი საავაძის მშობლიური სოფელი; 11. ვინჩენცო ბელინის ოპერა; 12. ქალაქი ინგლისში; 13. თარაზული №71-ის სამშობლო; 15. მწერი ანა კალანდაძის პოეზიიდან; 20. დემი მურის ერთ-ერთი კინოპროფესია. დღეს ამ ქალზე ყველა გიჟდება და... (ნეტაი თქვენ!); 25. ქალაქი თურქეთში; 26. თარაზულ 48-ში ნაგულისხმევი მსახიობები თარაზულ 16-ში ჩაშიფრულის ფილმში „ამ" დიდი რუსი ქირურგის გვარს ახსენებენ... მაინც რა გვარია? 30. თაფლით და ქიშმიშით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 32. „ამპარტავნობის" უცხოური სინონიმი; 34. სომეხი ფეხბურთელი კ.ფ. „მიმინოდან"; 37. ლექსთწყობის ფორმა; 38. „პერსონაჟი" ფილმისა „ათოვდა ზამთრის ბაღებს" (აბსტრაქტულად იაზროვნეთ); 39.(იხილეთ ფოტო) ეს კაცი ერთ ფილმში „ქარმა წაიღო" ვივიენ ლისთან ერთად; 40. ქიმიური ელემენტი; 41. დაახლ. იგივეა, რაც გოგმანი; 46. ლატვიელი ბალერონი, მარისი... 47. მომთაბარეთა კარავი; 49. ძვ. რომაელი ორატორი და პოლიტიკოსი; 51. რა სჭირდება ფულის შოვნას? (სამწუხაროდ!); 52. პერსონაჟი დუმბაძის მოთხრობიდან „ჰელადოს"; 55. გარეული თხა... თუ რაღაც იმისგვარი; 56. სოფელი ხაშურის რაიონში; 57. (იხილეთ ფოტო) „ფანტაზია" №3-ში მისი მემუარები დაიბეჭდა; 58. (იხილეთ ფოტო) დღეს ეს კინომსახიობი ძალზედ მოდაშია; 60. ძველი თბილისის კოლორიტული ფიგურა; 62. ამერიკელი ჩოგბურთელი კაცი; 63. რკინის სარტყელი; 65. გაბრიელ სუნდუკიანის ცნობილი (თბილისური) პიესა; 66. ჭადრაკის კოეფიციენტების პროფესორი; 67. ქართული კაიფვორდების ყველაზე პოპულარული რაიცენტრი.

## ბავშვთა იუმორი



დედა-შვილი ძველ ფოტოალბომს ათვალიერებენ.

— დედა. ვინ არის ეს ხუჭუჭთმიანი, გამხდარი კაცი?

— ვერ იცანი? ეს ხომ მამაშენია!

— მამაჩემი?! მაშ ის მელოტი და მსუქანი ვინღაა, ჩვენთან რომ ცხოვრობს?!

მამამ მეორე ცოლი შეირთო და შვილს ეკითხება:

— როგორ მოგწონს შენი ახალი დედა?

— მამა, მე მგონი, შენ მოგატყუეს; ეს ქალი არც ისე ახალია.

მამა თავის შვილს საშინაო დავალებას უმოწმებს.

— რა არის ეს?! ასეთი ნაწერის შემხედვარე შენს მასწავლებელს ინფარქტი დაემართება.

— მეც ამისი იმედი მაქვს!

## (ფანტაზია №9-ის პასუხები)

**(პირველი გვერდი) თარაზულად:** 5. ჰაკი. 7. მარჯანიშვილი; 10. გორკი; 11. აბორიგენი; 12. შაკუნტალა; 14. აშკარა; 18. ომიაძე; 19. იმედო; 20. მაისურაძე; 23. ავტორიტეტი; 24. პაროდია; 25. აბრაგი; 26. კურდღელი; 28. ლირი; 30 ედუარდი; 31. ნიადაგი; 39. შარია. 33. პროფილი; 34. ალერგია.

**შვეულად:** 1. ლამბაშიძე; 2. უჯარმა; 3.ანაგრამა; 4.შიო; 5. ჰიგინსი; 6. კარგარეთელი; 8. შანშიაშვილი; 9. ლისაბონი; 13. კრედო; 15. როტერდამი; 16. ზარანდია; 17. მსტოვარი; 21. რაინდი; 29. როლი.

**(სკანდ-ვორდი) თარაზულად:** იაკუბოვიჩი-ცურტაველი-პაპანოვი-ოლლალამბადა-ნიკორწმინდა-კრისტი-ილიკო-იანკი-მასლიაკოვი-კრუზი-ჰენდბოლიიარმოლნიკი-იდიოტი-სიდრი-ასპიროზი-რემბო-მიზანი-აივა-ნიანგი-ხატიაპფაიფერი.

**შვეულად:** ჭაჭა-ლუზა-ზოროასტიზმი-ვიცინი-შირაკი-მაკრინე-ბელმონდო-ელჩი-ატლანტიდა-ვარიაცია-პარკინსონი-პიკვიკი-ოდა-მისური-არიგო-ნილოსიტრუდი-ნიორი-ჰიმალაი-ნეო-ირონია--ტევრი-ალარ.

**(80 000 ათასი კოლომეტრი) თარაზულად:** 2. სტატია; 3. ტარტუ; 8. სიმილაკი; 13. ვილია; 14. რეზნიკი; 16. ბანიონისი; 19. რიგა; 20. ვესკი; 22. არვიდასი; 24. ვირუ; 27. ბლუ; 28. შვებულება; 30. დანდი; 31. ინესა; 32. რაიმონდი; 33.იქსი; 34. პადრე; 35. აპისი; 39. სიძე; 41. რაინდული; 43. ანნე; 45. ოტო; 47. იარვეტი; 49. ალბათ; 50. ბუდრაიტისი; 51.ვაიკულე.

**შვეულად:** 1. ჟალგირისი; 2. სტატიბა; 4. ტალინი; 5. ტალი; 6. აიდა; 9. ლაიმა; 10. კრივი; 11. რკო; 12. შილიალისი; 15. ნაკრები; 17. ნარვა; 18. ოსიაშვილი; 21. ტაურასი; 23. საბონისი; 24. ვილნიუსი; 25. უუდმიაე; 26. კლაიპედა; 29. ანდრეი; 32. რაიონი; 36. სინაზე; 37. წამება; 38.მეტისი; 40. ინოლა; 42. ულმას; 44.ერი; 46. იაკ; 48. ოტო.

ი/ს «ფანტაზია»
რეგისტრირებულია ისნის
რაიონის სასამართლოს
მიერ
№71-1811
ალექსანდრე და ვახტანგ
ელერდაშვილები

პაატა დავითაშვილი
ბაქარ მათიკაშვილი
ზურაბ აბაშიძე
იოსებ გენებაშვილი
მისამართი: უზნაძის ქ. 18
(«საქწიგნის» შენობა. I
სართული)